



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 85
27/12/2019

85-09-4-201912271822



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41
განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების
შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე
მუხლის შესაბამისად,


მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018
წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების
გეგმის დამტკიცების შესახებ“.

1. ამოღებულ იქნეს საპრივატიზაციო ნუსხიდან თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულების დანართის „საპრივატიზაციო
ნუსხაში შესატანი უძრავი ქონება და პრივატიზების გეგმა“ შესაბამისად
საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი, სოფელ კონდოლში მდებარე 12192 კვ.მ.
სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი:
53.05.32.261).
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41
განკარგულების დანართი „საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონება და
პრივატიზების გეგმა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო




საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონების ნუსხა და პრივატიზების გეგმა

N	ქონების დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა	გადახდის პერიოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (წყლის ავზი)	სოფ. იყალთო	53.12.36.151	151 კვ.მ.	4200	<p>პირობიანი:</p> <p>ა) მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე არსებული სასმელი წყლის სამარაგე ავზის მოვლა-პატრონობა;</p> <p>ბ) უზრუნველყოს სასმელი წყლის მიწოდება სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღისთვის</p>	15 დღე
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. თელავი, არჩილ II-ის ქუჩა	53.20.31.025	5158 კვ.მ.	99000	<p>პირობიანი:</p> <p>ა) მყიდველი ვალდებულია შექმნილ უძრავ ქონებაზე ააშენოს კომერციული დანიშნულების ობიექტი;</p> <p>ბ) შექმნილი ფართობის მინიმუმ 15%-ზე უზრუნველყოს მწვანე ზოლის მოწყობა, ხოლო დანარჩენ ფართობზე, საჭიროებიდან გამომდინარე, საპარკინგე ადგილების გამოყოფა;</p> <p>გ) მშენებლობის პროექტი წარმოადგინოს საკუთრების მოწმობის გაცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში</p>	15 დღე

3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა	53.20.40.545	213 კვ.მ.	7250	პირობიანი: მყიდველი ვალდებულია მიწის ნაკვეთი გამოიყენოს არაკომერციული დანიშნულებით	15 დღე
---	---	---------------------------------------	--------------	-----------	------	--	--------

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

